



ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

39-05-4-201809202332



ქ. ბათუმი

20/09/2018

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 05/39

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის რეორგანიზაციის დაგეგმვისა და განსახორციელებელ ღონისძიებათა გეგმის განსაზღვრის შესახებ

„პროფესიული საჯარო მოხელის მობილობის წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 20 აპრილის №199 დადგენილებისა და „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის რეორგანიზაციის დაწყების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2018 წლის 11 სექტემბრის №05/38 ბრძანების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის რეორგანიზაციის მიზნით განისაზღვროს განსახორციელებელ ღონისძიებათა გეგმა, შემდეგი სახით:

ა) სამუშაო ჯგუფის შექმნა (20.09.2018 წ.);

ბ) სამუშაო ჯგუფის მიერ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის ნაწილობრივ ახალი სტრუქტურის შემუშავება და მისგან გამომდინარე შესაბამისი სამართლებრივი აქტების (საშტატო ნუსხა, აპარატის დებულება, საკრებულოს რეგლამენტი და საჭიროების შემთხვევაში სხვა) პროექტების შემუშავება (არაუგვიანეს 20.10.2018 წ.);

გ) სამუშაო ჯგუფის მიერ წარმოდგენილი ახალი სტრუქტურის შესაბამისად იმ პირთა (საკრებულოს აპარატის თანამშრომელთა) განსაზღვრა ვისაც შესაძლოა შეეხოს რეორგანიზაცია (არაუგვიანეს 30.10.2018წ.);

დ) წინამდებარე ბრძანების 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ პირთა (თანამშრომელთა) გაფრთხილება რეორგანიზაციის შესაძლო შედეგებთან დაკავშირებით (არაუგვიანეს 30.10.2018წ.);

ე) სამუშაო ჯგუფის მიერ შედგენილი საკრებულოს აპარატის ნაწილობრივ ახალი სტრუქტურის და ამ ბრძანების 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ პირთა (თანამშრომელთა) შესახებ სსიპ „საჯარო სამსახურის ბიუროს“ წერილობითი ინფორმირება (არაუგვიანეს 30.10.2018წ.);

ვ) სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებული საკრებულოს აპარატის ნაწილობრივ ახალი სტრუქტურის და მისგან გამომდინარე შესაბამისი სამართლებრივი აქტების განსახილველად და დასამტკიცებლად წარდგენა საკრებულოს სხდომაზე (დამტკიცების შემთხვევაში იგი უნდა ამოქმედდეს 2019 წლის 01 იანვრიდან (არაუგვიანეს 15.11.2018 წ.);

ზ) შტატების შემცირებისას გასანთავისუფლებელ პირთა (თანამშრომელთა) მობილობის განხორციელება პირველ რიგში შიდა რესურსის ფარგლებში (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ხოლო მისი შეუძლებლობის დროს სსიპ „საჯარო სამსახურის ბიუროსთან“ თანამშრომლობის საფუძველზე სხვა საჯარო დაწესებულებაში (არაუგვიანეს 15.12.2018 წ.);

თ) შტატების შემცირების გამო გათვალისწინებულ მოხელეთა მობილობის შეუძლებლობის შემთხვევაში მისი განთავისუფლება და მოხელეთა რეზერვში ჩარიცხვა (ბრძანების გამოცემა არაუგვიანეს 15.12.2018 წ., ბრძანების ამოქმედება 2019 წლის 01 იანვრიდან);

ი) შტატის შემცირების გამო გათავისუფლებულ მოხელეებზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) კანონით გათვალისწინებული კომპენსაციის გაცემა (არაუგვიანეს 20.12.2018 წ.).

2. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსმა უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებ-გვერდზე (www.batumicc.ge) გამოქვეყნება.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქალაქი ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

სულიკო თებიძე

საკრებულოს თავმჯდომარე

